პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 200 (4710)

1972 წ. 8 ოქტომბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



„კარპატისთან" გუშინწინდელ მატჩში შესანიშნავად ითამაშა თბილისელთა ნახევარმცველმა გ. გავაშელმა, რომელმაც ორი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში.

ს უ რ ა თ ზ ე: გ. გავაშელი (მუქ მაისურში) ი. კულჩიცკისთან ბრძოლის დროს.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

(ამ მატჩისადმი მიძღვნილი წერილი იხ. მე-4 გვ.).

8 ოქტომბერი სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეა

## ოლიმპიელები ულოცავენ

„ყველა საბჭოთა ოლიმპიელის სახელით გილოცავთ დამსახურებულ შრომით გამარჯვებას — ჩვენი სახელმწიფოს საიუბილეო წლის დიდ მოსავალს".

ეს სტრიქონები ამოღებულია დეპეშიდან, რომელსაც ხელს აწერენ მიუნხენის ოქროს ლაურეატები ვ. ბორზოვი, ა. მედვედი, ო. კორბუტი, ვ. ლემეშევი. ცნობილმა სპორტსმენებმა დეპეშა გაუგზავნეს იმიერურალის 6 ათას ახალგაზრდა სოფლის მუშაკს — სასოფლო სპორტსაზოგადოება „უროჟაის" წევრებს.

წლეულს ამინდი არვარგოდა, მაგრამ კურგანელებმა მაინც კარგ მოსავალს მიაღწიეს — ყოველ ნათეს ჰექტარზე 18 ცენტნერზე მეტი მარცვლეული აიღეს. „ჩვენ ვიცით, რომ დღეს სოფლის მუშაკები პურისთვის ბრძოლის წინა ხაზზე არიან. დარწმუნებული ვართ, თქვენ, ახალგაზრდები, თავს არ დაზოგავთ, რათა საშემოდგომო მკა სწრაფად დაამთავროთ", — სწერენ სოფლის მეურნეობის მუშაკებს ოლიმპიელები.

მართლაც, ხუმრობა როდია მოსავლის აღება ორი მილიონი ჰექტარი ნათესიდან, როცა მინდორში გასვლის თითქმის პირველივე დღიდან კომბაინებს ცივი წვიმები დაატყდა... მაგრამ, მიუხედავად ცუდი ამინდისა, მექანიზატორებმა უკვე თითქმის ნათესების სამ მეოთხედზე დაამთავრეს მუშაობა. ათასობით კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა პურს გეგმის გადაჭარბებით აძლევს სახელმწიფოს.

იმ დღეებში, როცა მიუნხენის სარბიელზე საბჭოთა ოლიმპიელებს ცხარე ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული მსოფლიო სპორტის ელიტასთან და გაიმარჯვეს, მათს სახელზე გაგზავნილ უამრავ მისალოც დეპეშას შორის კურგანელ ფიზკულტურელთა სიხარულის გამომხატველი სიტყვებიც იყო. ახლა უკვე სპორტსმენები ულოცავენ სოფლის მეურნეობის მუშაკებს.

— ჩვენც შეგვიძლია ვუპატაკოთ ოლიმპიელებს, — გვიამბობენ ჩასტოოზერსკის რაიონის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული მექანიზებული რგოლის წევრები ვ. სედინკინი, ნ. სუნგუროვი, ა. ჩიჩასოვი, ს. და ა. პანფილოვები. — უკვე ჩაბარებული გვაქვს 25 ათასი ცენტნერი მარცვლეული. ვ. ბორზოვი, ა. მედვედი, ო. კორბუტი და ვ. ლემეშევი სიმბოლურად ჩვენს ქვეგანაყოფში ჩავრიცხეთ.

ვ. ხორდინი,
ნ. სტიაჟკინი.
(საკდესის კორ.).

კურგანი, 6 ოქტომბერი.

## სტარტზე მასობრივად გამოვიდნენ

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივის წევრები ამ დღეებში კვლავ მასობრივად გამოვიდნენ სტარტზე მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. ისინი ძალას ცდიდნენ ბირთვის კვრაში, ხელყუმბარის ტყორცნაში, სიგრძეზე ხტომაში, 100 მეტრზე რბენაში. მანამდე ნორმატივები სამ-ოთხ სხვა სახეობაში ჰქონდათ ჩაბარებული.

ბირთვის კვრაში კარგ შედეგებს მიაღწიეს საიარაღო საამქროს ზეინკალმა თ. კობალაძემ და კონსტრუქტორმა ნ. ჯინჭარაძემ. სიგრძეზე ხტომაში საუკეთესონი იყვნენ მზა პროდუქციის განყოფილების უფროსი ი. ციცხვაია და მექანიკური საამქროს მუშა ს. ბრონჩენკო. მექანიკური საამქროს ხარატმა კ. კაზანცევმა და სარემონტო საამქროს ზეინკალმა გ. ძაგნიძემ ხელყუმბარა 55 მეტრზე ტყორცნეს. 100 მეტრზე რბენაში თავი ისახელეს მექანიკური საამქროს ხარატმა ვ. დოლიძემ და მთავარი საკონსტრუქტორო ბიუროს გადამღებმა მ. ლორთქიფანიძემ.

სტარტზე სამასზე მეტი სხვადასხვა ასაკის მუშა და მოსამსახური გამოვიდა. ნორმატივები მათგან ასმა ჩააბარა.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## დამსახურებული დასვენება

სკოპლე, 6 ოქტომბერი. ვაჟთა XX საოლიმპიო და ქალთა V საჭადრაკო ოლიმპიადების მონაწილეებმა დღეს მაკედონიის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერეს: საჭადრაკო მაგიდებთან მრავალდღიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ (დილით — გადადებული პარტიების დამთავრება, საღამოს — მორიგი ტური) მათ, ბოლოს და ბოლოს, დასვენების დღე მიიღეს.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა IX ტურში გადადებული ორთაბრძოლების დამთავრება შაბათ დილისთვის გადაიტანეს, რათა დიდოსტატებისა და ოსტატებისთვის დასვენების საშუალება მიეცათ დასკვნითი, გადამწყვეტი ბრძოლების წინ.

გაგახსენებთ, რომ ვაჟთა მთავარ ფინალში საუკეთესო შედეგი ერთდროულად ორ გუნდს აქვს — საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის კოლექტივებს (24,5-24,5 ქულა), მაგრამ მასპინძლებს უნგრელებთან მატჩის ერთი პარტია დაუმთავრებელი დარჩათ. თუმცა, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ იუგოსლავიის ნაკრების ლიდერი გლიგორიჩი ნახევარ ქულასაც ვერ მიიღებს პორტიშთან შეხვედრაში.

ვაჟთა ოლიმპიადაში საბჭოთა მოჭადრაკეთაგან ჯერჯერობით ყველაზე კარგი შედეგი აქვს მსოფლიოს ექსჩემპიონს მ. ტალს: 10 ქულა 11 შეხვედრიდან.

მოგვყავს დანარჩენი საბჭოთა მოჭადრაკეების შედეგები: ა. კარპოვი — 8,5 ქულა 10-დან, ვ. სმისლოვი — 8 ქულა 10-დან, ვ. კორჩნოი — 7,5 ქულა 10-დან, ტ. პეტროსიანი — 8,5 ქულა 12-დან, ვ. სავონი — 4 ქულა 7-დან.

ქალთა მთავარ ფინალში დამაჯერებლად ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები — 5,5 ქულა 6 შესაძლებლიდან.

## ოლიმპიადის ირგვლივ

### უძილო ღამე და ნახევარი ქულა

ივკოვისა (იუგოსლავია) და რუბინეტის (არგენტინა) პარტია რომ გადაიდო, მასპინძელმა დიდოსტატმა დამაჯერებლად განაცხადა, შეწყვეტილ პოზიციაში დიდი უპირატესობა მაქვსო. მან თანაგუნდელები დაარწმუნა: ეს პარტია გარჩევას არ საჭიროებსო.

როგორც შემდეგ გამოირკვა, არგენტინელმა მოჭადრაკემ უძილო ღამე გაატარა ყაიმის ძებნაში და შრომა დაუფასდა კიდეც: ნახევარი ქულა ჩაწერა თავისი გუნდის აქტივში.

### გაუთვალისწინებელი საჩუქარი

კურიოზული შემთხვევა მოხდა IV ტურში. ტრინგოვის (ბულგარეთი) პარტია საბჭოთა დიდოსტატ კორჩნოისთან დაახლოებით თანაბარ პოზიციაში გადაიდო. სვლა ბულგარელ მოჭადრაკეს უნდა ჩაეწერა. გადადებული პარტიის დამთავრების დღეს შეჯიბრების მსაჯმა გახსნა კონვერტი, მაგრამ ის... ცარიელი აღმოჩნდა. საჭადრაკო კოდექსის მიხედვით, ტრინგოვმა ნული მიიღო, კორჩნოიმ კი გაუთვალისწინებელი საჩუქარი.

### გულმავიწყი შვეიცარიელები

შვეიცარიის გუნდის კაპიტანმა საბჭოთა კავშირის ნაკრებს ტელეფონით შეატყობინა, თქვენს მოჭადრაკეებთან სამ გადადებულ პარტიაში თავს დამარცხებულად ვცნობთო. მეორე დღეს საბჭოთა გუნდის კაპიტანმა კერესმა სატურნირო დარბაზს მიაშურა და ელდა ეცა: „მოგებული" პოზიციები დაფებზე ეწყო, საბჭოთა მოჭადრაკეების საათები კი ჩართული იყო.

თურმე შვეიცარიელებმა დროულად არ შეატყობინეს მსაჯს თავიანთი გადაწყვეტილება, მაგრამ მალე ყველაფერი მოგვარდა — საბჭოთა სპორტსმენებმა დამსახურებულად ჩაიწერეს აქტივში 3 ქულა.

## რაიონი სპორტში გამოცდას აბარებს

„არც ერთი სოფელი მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა გარეშე", — მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა „მედუკლიაის" ფიზკულტურულმა კოლექტივმა ასეთი მოწოდებით მიმართა ლიტვის რასეინიაის რაიონის მშრომელებს. ამ მეურნეობის ფერმები დიდ ტერიტორიაზეა განლაგებული, მაგრამ კოლექტივი მეგობრულად შეუდგა სპორტში გამოცდის ჩაბარებას. გამოირჩეოდნენ მექანიზატორები: ორმოცივემ დაიწყო კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება.

საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენთა თაოსნობას მხარი აუბეს „ტაესის", „კალნუიაის", „აუშრას" კოლმეურნეებმა.

ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ნატყეთ-სარეწაო საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეების ფიზკულტურულ კოლექტივად გაერთიანება ძნელი საქმეა, რადგან სულ სხვადასხვა ადგილას მუშაობენ. მაგრამ სპარტაკიადამ, რომელიც მშდ კომპლექსს ეძღვნებოდა, ეს მოსაზრება არ გაამართლა, მან სპორტში მიიზიდა მეურნეობის თითქმის ყველა მუშა და სპეციალისტი.

„აუშრას" სპორტსმენებს მიაჩნიათ, რომ მიწის მუშებს განსაკუთრებით სჭირდებათ მხნეობა და ჯანმრთელობა. ამიტომ ისინი ყოველ თავისუფალ წუთს სპორტს ახმარენ.

სულ რაიონში სპორტული გამოცდა 7 ათასამდე ფიზკულტურელმა ჩააბარა. მეთევზეთა მეურნეობა-კაუსკასმა, „გირკალნისის" კოლმეურნეობა „პაუპიაის" შოფერმა ა. ჟივატურინემ ა. ბუტაუტასმა და ბევრმა სხვამ „ფრიადი" მიიღეს. მათ მშდ კომპლექსის ოქროს სამკერდე ნიშნები გადაეცემათ.

(საკდესის კორ.).

რასეინიაი (ლიტვის სსრ), 7 ოქტომბერი.

საკდესი მოგვითხრობს

## ჩვენი ძმობა ჩვენი ძალა

### მშენებელთა კარგი სეზონი

ლენინგრადელმა მშენებლებმა მოაწყვეს სპარტაკიადა, რომელშიც 5 ათასზე მეტი ფიზკულტურელი ჩაება. ჩატარდა შეჯიბრებები ფეხბურთში, ძალოსნობაში, ცურვაში, ველოსპორტში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, კროსში. ფინალში სტარტზე გამოვიდა 2 ათასზე მეტი სპორტსმენი. მათგან ნახევარმა ჩააბარა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივები ხუთ-ექვს სახეობაში. 450 ფიზკულტურელი თანრიგოსანი გახდა. სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულეს ახალგაზრდა მშენებლებმა ვ. ევსტიგნეევმა, ი. ვერეშჩაგინმა, ტ. ტრუსოვამ და ლ. ჩირკოვამ.

მთავარლენინგრადმშენის უფროსმა ი. კუკუშევმა თქვა: „ზაფხულის სეზონში წარმატების მოპოვებას დიდად შეუწყო ხელი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შემოღებამ. ვცდილობთ შეჯიბრებები ისე მოვაწყოთ, რომ ნორმატივების ჩაბარება მშენებლებისთვის ნამდვილ დღესასწაულად იქცეს".

### ესტაფეტა გზას დაადგა

რიგის ლენინის ორდენოსანი ელექტრომანქანათსაშენი ქარხნის სპორტსმენები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს უძღვნიან მარათონულ გარბენს, რომლის მანძილიც 627 კილომეტრს მოიცავს. 6 ოქტომბერს ლენინის ძეგლთან მოწყობილი მიტინგის შემდეგ 24 მორბენალმა აიღო სტარტი მარშრუტით რიგა — ტარტუ — ლენინგრადი.

გარბენში მონაწილეობენ სსრ კავშირის ჩემპიონი ორიენტირებაში, ტექნოლოგი რ. სლავინი, ა. ლიცისი, გ. ლომონოსოვი და სხვ. წინ მიდის მოკავშირე რესპუბლიკების დროშებით მორთული მოტოკოლონა, რომელსაც მეთაურობს ქვეყნის ჩემპიონი მოტოტურიზმში ი. კურაუსი. კოლონას ამშვენებს ლოზუნგი — „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა ჩვენი მიღწევების საწინდარია".

ნევის ნაპირებზე რიგელთა ესტაფეტას ქარხანა „ელექტრიკის" ფიზკულტურელები მიიღებენ.

### მშდ ალმასების მხარეში

იაკუტსკის გაერთიანება „იაკუტალმაზის" ალმასის მომპოვებელი ქარხნის 400-ზე მეტმა ფიზკულტურელმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები 100 მეტრზე რბენაში, კროსში, ხელყუმბარის ტყორცნაში, ბირთვის კვრაში, ტანვარჯიშსა და ცურვაში.

აქ საზოგადოებრივ საწყისებზე აიგო სპორტული ბაზა, აშენდა სტადიონი, ღია საცურაო აუზი, მოეწყო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. ტარდება შეჯიბრებები საამქროებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე





ოლიმპიურ თამაშებზე აკრედიტებული ჟურნალისტები ხშირად შავ დღეში იყვნენ: სხვადასხვა სარბიელზე ერთდროულად ბევრი საინტერესო ტურნირი იმართებოდა... გამოსავალი პრეს-ცენტრში მოიძებნა — აქ დადგმული ტელეეკრანების საშუალებით მათ თავისუფლად შეეძლოთ თვალი ედევნებინათ ამ შეჯიბრებათა მსვლელობისთვის. ვეებერთელა სალონში კედელზე ტელევიზორები ეკიდა. თუმცა, სპორტულ ბაზებზე მოწყობილ პრეს-ლოჟაში მყოფსაც შეეძლო შენს წინ მდგარი ტელევიზორი ჩაერთო და სხვა ბატალიებიც გენახა.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: პრეს-ცენტრის სალონი და მთავარი სტადიონის პრეს-ლოჟა.



უშაარად ხელმა უმტყუნა მშვილდოსან ქეთევან ლოსაბერიძეს. მას შეეძლო ბრინჯაოს მედალი მოეპოვებინა, მაგრამ ეს ჯილდო თანაგუნდელ ე. გაპჩენკოს „გადაულოცა": უკრაინელმა სპორტსმენმა სულ ერთი ქულით გაუსწრო ქეთევანს.

როცა მიუნჰენის ოლიმპიადა მთელი ძალით გაჩაღდა და უამრავ სპორტულ სარბიელზე ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა, მაყურებელი შეძახილებით აქეზებდა სპორტსმენებს, რაც დიდ ხმაურსა და აურზაურს ქმნიდა. პირდაპირ სამოთხეში გრძნობდი თავს მშვილდოსანთა ასპარეზობაზე. ქალაქის ცენტრში მდებარე ინგლისურ პარკში, რომელსაც ერთ მხარეს ხელოვნური ტბა ეკვროდა, ოლიმპიური ჯილდოების მაძიებელი მშვილდოსნები სიმყუდროეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს: არც წამოძახილები ისმოდა, არც ხმამაღლა ლაპარაკი.

სურათზე თქვენ ხედავთ ქ. ლოსაბერიძეს (წინა პლანზე), რომელიც ასპარეზობისთვის ემზადება.





გესეგელენდეს სპორტული კომპლექსის საჭიდაო დარბაზში დილიდან ღამემდე არ წყდებოდა მოჭიდავეთა შეჯიბრება. სურათებზე აღბეჭდილია ფალავანთა მორიგი „სამუშაო დღე". მარცხნივ — მსაჯი ი. ჩხარტიშვილი.

## „ავგიასის თ...

## ვინ დგე...

## პირუტყვის...

*საამქრო — თავლ,*

*ცხენი — ქარ-წვი...*

ხიდი... საჭი...

*კვეჯი — „მოუშორ...*

## რატომ უვლიანე... ბულალტერიას?

— რაც უფრო ვუახლოვდებით კოსმოსს, მით უფრო ძვირდება ცხენი. ახლა ყველამ იცის, რომ ტექნიკის ეპოქაში ცხენის ფასი (იგულისხმება წმინდასისხლიანი, სპორტული ცხენები) მსუბუქი ავტომანქანის ღირებულებასაც კი აჭარბებს. და მაინც, ცხენი კვლავ რჩება ჩვენი ცხოვრების თანამგზავრად, ადამიანთან ხაუკუნეებში ფეხგადგმულ მის მეგობრობას ჯერაც არ გასვლია ყავლი.

ადამიანი მუდამ სათუთად უვლიდა, მზრუნველობას არ აკლებდა ჭირსა და ლხინში ნაცად მეგობარს. აკი ქართული ანდაზაც გვასწავლის: ცხენის სისხლში კაცის სისხლია ურევიაო. ამბობ ამ სიტყვებს და გიმძიმს იმის თქმა, რომ ზოგიერთი ადამიანი არად დაგიდევს კაცობრიობის წინაშე ამ გონიერი ცხოველის დამსახურე-

## ა ლ მ ა - ა თ ...

გუშინწინ ალმა-ათაში დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის ჯგუფური ტურნირი. იმ დღეს თბილისის დინამოელები მასპინძელ თანაკლუბელებს შეხვდნენ. შეუპოვარი ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 5:5. კიევის დინამოელებმაც ფრედ (2:2) დაამთავრეს მატჩი. მათი მეტოქე იყო ლენინგრადის „ბალტიკა". ორმა „დინამომ" — თბილისისა და კიევის გუნდებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა (13-13) დააგროვეს და ჯერჯერობით IV-V ადგილებს იყოფენ.

ბაქოს ჯგუფური ტურნირის ბოლოსწინა ტურში კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდმა და მოსკოვის „ტორპედომ" ზავს მოაწერეს ხელი — 5:5. მოსკოვის





...ოლიმპიადის დღეებში ქალაქის ქუჩები აჭრელებული იყო სხვადა-
სხვა ფირმის ცოცხალი თუ ელექტრული რეკლამებით. მარცხენა
...თზე აღბეჭდილია პრესის ქალაქის ერთ-ერთი კუთხე. უკანა პლან-
...მოჩანს ცხენებშებმული ლუდის საზიდარი, რომელზეც კასრები
...ია. ლუდის ქარხნების მეპატრონეთა მისწრაფება ასეთი რეკლა-
...ემი გასაგებია: მიუნჰენს ხომ ლუდისა და სოსისის მსოფლიო დე-
...ლაქს უწოდებენ. ოლიმპიადისთვის განსაკუთრებით ბევრი ლუდი
...უშვეს და ყიდდნენ როგორც სპორტულ სარბიელზე, ისე ქუჩებში
...რასაკვირველია, რესტორნებში და ლუდხანებში. მესეგელენდეს
...ტული კომპლექსის მახლობლად მდებარე წმინდა მარიას მოედნის
...მხარეს ხარაჩოები იყო აღმართული — აშენებდნენ სპეციალურ პა-
...ონებს ლუდის მსმელთა დიდი „ფორუმისთვის“, რომელიც სექ-
...რის ბოლოს უნდა გამართულიყო ბავარიის დედაქალაქში.
...ავიგეთ, რომ შარშან მიუნჰენში ჩასულა ოთხ მილიონამდე ლუდის
მოყვარული, რომელთაც ორი კვირის მანძილზე რამდენიმე მილიონი
მეტრი სოსისი შეუჭამიათ, 100 მილიონი კათხა ლუდი შეუსვამთ.

ფირმების მეპატრონეებს გადამეტებული სმის მოყვარულთათვისაც კი უზრუნიათ — პავილიონებთან გაუხსნიათ გამოსაფხიზლებლები, რომლებსაც მთელი ორი კვირის მანძილზე მოცლა არ ჰქონიათ. აქ ათევდნენ ღამეს, დილით კი ისევ თავიანთ „საქმეს“ აგრძელებდნენ ლუდის მოყვარულები.

მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ საავტომობილო ფირმის ბეემვე-ს კოშკისმაგვარ შენობას, რომელიც იაპონელების ნახელავია. მის მარჯვენა მხარეს ფიალის მაგვარი ნაგებობა დაეთმობა მუზეუმს, რომელშიც ამ ფირმის არსებობის მანძილზე გამოშვებული ავტომანქანების გამოფენა მოეწყობა.

ზ. ჯაფარიძის ტექსტი.
მ. ზარგარიანის ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორესპონდენტები).

# ...ლა“
# ...დევაში?
# ...ვო,
# ...ევი
# ...იგომში
# ...რი ჭირი“
# ...ენერდს
# ...ს?

...რმაგად აღმაშფოთებელია
...ტი, რომ სწორედ იქ, სა-
...რნებს თავს უნდა ევლე-
... ულმერთოდ დგებიან პი-
...ს ცოდვაში.
...წელშეხვეული საბრალო
...ი და მისი თანამოძმენი ახ-
...ერთ-ერთი საკავშირო პირ-
... დღეებში, მიუსაფრად
...ნეს თავიანთი სადგომები-
...ნებული ასპარეზობის მა-
...ბს ცხენები ერევნელმა
...ბმა წამოაშველეს. თავლა
...რ ცხენებს, ასე ვთქვათ,
...ებს“ დაეთმოთ. ვინაიდან
... არ იყო, თბილისის იპო-
... და „დინამოს“ ბაზის ცხე-
...ია ცის ქვეშ გაატარეს შე-
...ს ქარ-წვიმიანი კვირანა-

...ლექსიკონში თავლა და
... მხოლოდ და მხოლოდ

ცხენის სადგომადაა განმარტებული. ეს ჭეშმარიტება თბილისის იპოდრომის ხელმძღვანელებს ულექსიკონოდაც კარგად მოეხსენებათ. მოეხსენებათ, მაგრამ... აქ ჯერ კიდევ იპოდრომის გახსნის დღიდანვე დაებადათ საჯინიბოების გაქირავების აზრი. მერე მადა ჭამაში მოვიდა და მთელს იპოდრომს კალიასავით მოედო ავეჯისა და თამბაქოს საწყობები, ავტოსახელოსნოები, გარაჟები, საამქროები.

„ერთი წავა და სხვა მოვა“, ლიღინებდნენ იპოდრომის მესვეურები. ერთ „მდგმურს“ რომ აუქრავდნენ გუდა-ნაბადს, მეორეს ეგებოდნენ ფიანდაზად. წელიწად-ნახევრის უკან გულუხვ მასპინძლებს მუყაოსა და პოლიეთილენის ნაწარმის დამზადების ოსტატებმა მიაკითხეს. საქმე სარფიანად მიიჩნიეს და იპოდრომმა დამხმარე საამქროდ (უფროსი ლ. გოლდმანი) „შეიკედლა“ სტუმრები. აკი ამ ერთი კვირის წინათ „პრავდა“ წერდა, რომ იპოდრომის დირექცია ამ საამქროს გახსნით ფულის მოხვეჭის სურვილმა გაიტაცა.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციებს აქვთ დამხმარე მეურნეობის გახსნის უფლება, მაგრამ ხომ არ შეიძლება წინა პლანზე სწორედ ამ მეურნეობის საქმიანობა წამოვწიოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ცხენი პირუტყვია? როგორღა შეიძლება ამ ნაბიჯს ცხენისა და ცხენოსნობის კეთილდღეობისთვის ზრუნვა ვუწოდოთ, თუკი პირუტყვი ქარ-წვიმაში გვეყოლება, საჯინიბოში კი საამქროები იგუგუნებენ. თუ ასეა, ცხენი და იპოდრომი შირმად გამოვიყენოთ და... იპოდრომის თავლები კიდევ ბევრ სხვა საამქროს ეყოფა სააპარეზოდ. გავხსნათ ნემსების, ქინძისთავების, სათითეების, სამე-

ლნის ბუდეების, საქალალდეების, ლილების, პლასტმასის ყანწების საამქროები და იხარე გულო! ითვალე და ითვალე შემოსავალი! რაღად გვინდა ცხენები, რაღა დროს ცხენის ზრუნვაზე თავის შეწუხებაა, თუ კი მართლა ამ საამქრომ იპოდრომი ფინანსური კატასტროფისგან იხსნა.

ეს კიდევ არაფერი. ბევრი სტუმარი იპოდრომზე ძმაბიჭობითაა შემოსახლებული. თვეზე მეტია ერთ-ერთ საჯინიბოში 28 ცხენის ადგილი ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე ხილ-ბოსტნეულის მაღაზიამ დაიბევა. მაღაზია, რომელსაც თავი მოაქვს ხალხს კულტურულად ვემსახურებიო, საჯინიბოში შენახულ ხილბოსტნეულს აწვდის მომხმარებელს. თავლის გაქირავების თაობაზე იპოდრომის ბუღალტერიაში არავითარი საბუთი არ აღმოჩნდა. მერე ხსნას ეცადნენ და ხმა მოგვაწვდინეს, ხელშეკრულებას იპოდრომის დირექტორის მოადგილე მ. სოლოდჩიკი ჯიბით დაატარებსო (!).

ის იყო დავემშვიდობეთ მასპინძლებს რომ ცხენოსნობაში დაბრკოლებათა გადალახვის სარბიელის მხრიდან მძლავრი მოტორის გამაყრუებელი გუგუნი შემოგვესმა. ვილაცას ვილაცის ხელშეწყობით თვალუწვდენი ალვისხეების ჩრდილში მყუდრო ადგილზე ვეებერთელა ხორცის შესანახი მაცივარი დაუდგამს.

გადავდგით კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და რას ვხედავთ: მთელს საქართველოში ერთადერთი საცხენოსნო მანეჟის უკანა კართან დამტვრეული ყუთები უწესრიგოდ დაუხვავებიათ. გამოკეტილი შენობის ფართო და ნათელი სარკმელების წყალობით მაინც შევძელით საკუთარი თვალით გვენახა მანეჟის ერთ ბოლოში სათუთად დალაგებული ავეჯი. საოცარი ისაა, რომ ერთ დროს ავეჯის საწყობად საჯინიბოს თუ იყენებდნენ, ახლა უფრო „შესაფერისი“ ადგილი შეურჩევიათ.

თუ კი იპოდრომი მართლა შემოსავლისთვის აქირავებს ტერიტორიას, რატომ არაა ბუღალტერიაში სათანადო დოკუმენტაცია? ხელშეკრულება ხომ შენობის გაქირავებამდე უნდა შედგეს. იქნებ მართლა ისეა საქმე, რომ „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ“?

სხვა იპოდრომები თავს როგორღა ირჩენენო, იკითხავს მკითხველი. სხვაგან უფრო ორგანიზებულად და მეტი კონტროლით ტარდება ცხენთგამოცდის სეზონი. დამხმარე მეურნეობა სხვა იპოდრომებსაც აქვთ, ოღონდ მოჰყავთ შვრია და ბოსტნეული, ამზადებენ თივას.

„ავგიასის თავლა“ ამ წერილს შემთხვევით როდი დავარქვით. იპოდრომზე მისულ კაცს პირველ ყოვლისა მართლაც მოხვდება თვალში ირგვლივ გამეფებული სიბინძურე და უსუფთაობა. ბოლო უნდა მოეღოს აგრეთვე ქაოსსა და უთავბოლობას მშრომელთა გართობა-დასვენების ამ კერის მუშაობაში.

ეპილოგი. „საბერძნეთის მეფეს ავგიასს თავისი თავლა უყურადღებოდ ჰქონდა მიტოვებული. გმირ ჰერაკლეს დაეკისრა ამ საშინლად გაბინძურებული თავლის გაწმენდა. ჰერაკლემ მართლაც გაწმინდა: მან მდინარე მიუგდო საჯინიბოს და ტალღებმა გადარეცხეს სიბინძურე“.

ი. კალანდარიშვილი,
ც. გოქაძე,
ხ. გოლიაძე,
თ. გაჩეჩილაძე.

# ...ა და გაქოში

...„ დაამარცხა ვოლგოგრა-
...ტაკი“ — 5:2.
...გვიან საღამოს დამთავ-
...ს ჯგუფური ტურნირიც.

საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირი გაიმართება მოსკოვში 25-30 ოქტომბერს. იქ ათივე გუნდი ერთად იასპარეზებს.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ...-საზღვაო ფლოტის ...ური საწყლოსნო სპო-...ლუბი | 13 | 11 | 1 | 1 | 68—49 | 23 |
| ...ა უნივერსიტეტი | 12 | 10 | 2 | 0 | 69—47 | 22 |
| ...“ (მოსკოვი) | 13 | 5 | 4 | 4 | 55—51 | 14 |
| ...“ (თბილისი) | 13 | 5 | 3 | 5 | 61—61 | 13 |
| ...“ (კიევი) | 13 | 5 | 3 | 5 | 55—57 | 13 |
| ...“ (ლენინგრადი) | 13 | 2 | 6 | 5 | 48—59 | 10 |
| ...წითელდროშოვანი ...ციის გუნდი (ბაქო) | 12 | 2 | 5 | 5 | 49—51 | 9 |
| ...ო“ (მოსკოვი) | 12 | 2 | 4 | 6 | 45—55 | 8 |
| ...ი“ (ვოლგოგრადი) | 12 | 3 | 1 | 8 | 44—52 | 7 |
| ...“ (ალმა-ათა) | 13 | 3 | 1 | 9 | 49—61 | 7 |

ფოტოხუმრობა




„სიჩქარეს არ გადაამეტო!“ ო. გელაშვილის ფოტო.

სსრ კავშირის 50

საქართველოს პროფკავშირებისა და უწყებების სპარტაკიადა

# ეს იყო კარგი სკოლა ახალგაზრდებისთვის

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში, დამთავრდა კალათბურთელთა რესპუბლიკური საუწყებო შეჯიბრება. ჯგუფურმა ტურნირებმა დაასახელა უძლიერესი კოლექტივები, რომლებმაც საპრიზო ადგილებისთვის განაგრძეს ბრძოლა.

როგორც ვიუწყებოდით, ვაჟთა შორის წარმატების ყველაზე დიდი შანსი „დინამოსა“ და „კოლმეურნის“ სპორტსმენებს ჰქონდათ. დინამოელებმა დამაჯერებლად ჩაატარეს ყველა მატჩი, მათ შორის, მთავარ მეტოქესთან — „კოლმეურნესთან“. შეხვედრის ანგარიში (96:54) მეტყველებს, რომ „დინამოს“ კალათბურთელები ამ ტურნირში უძლიერესნი იყვნენ. მათ დამსახურებულად დაიკავეს I ადგილი.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს „კოლმეურნის“ წარმომადგენლებმაც, რომლებიც საბოლოო ჯამში სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზე დამკვიდრდნენ. გუნდმა ლამაზი და ტექნიკური თამაშით მოხიბლა კალათბურთის გულშემატკივრები. მან განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა მატჩი მთავარ კონკურენტთან — „ბურევესტნიკთან“. სწორედ ამ გამარჯვებამ გაიყვანა „კოლმეურნის“ კალათბურთელები II საპრიზო ადგილზე.

„განთიადთან“ მოგების შემდეგ (88:58) ბურევესტნიკელები III ადგილზე გავიდნენ.

შემდეგ არიან „განთიადის“, „სპარტაკის“, „შრომითი რეზერვებისა“ და „ლოკომოტივის“ კოლექტივები.

ქალთა ტურნირი უდანაკარგოდ განვლო „ბურევესტნიკის“ ძლიერმა კოლექტივმა. მან ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო. ბურევესტნიკელთა ძალა კარგად გამოჩნდა „კოლმეურნის“ კოლექტივთან მთავარ მატჩში. ლიდერმა 37 ქულის სხვაობით გაიმარჯვა — 77:40.

წარმატებას მიაღწიეს „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლებმაც. მართალია, მათ ორი მთავარი ბრძოლა წააგეს, მაგრამ საბოლოო ჯამში III საპრიზო ადგილზე აღმოჩნდნენ.

მომდევნო ადგილები ხვდათ „სპარტაკის“, „განთიადისა“ და „დინამოს“ სპორტსმენებს.

ტურნირი ძალიან სასარგებლო იყო. ასეთი შეჯიბრებები ჩინებული სკოლაა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც დიდ კალათბურთში იკაფავენ გზას. დღეს ჩვენ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა 17-19 წლის ასაკის კალათბურთელებზე. ვიცით, ვინ რას წარმოადგენს და ვისა აქვს უნარი წარმატებით იბრძოლოს ადგილისთვის ოსტატთა შორის.

სასურველი იქნება ამავე სახის ასპარეზობა სხვა ასაკობრივ ჯგუფებშიც ჩატარდეს. ეს საგრძნობლად გამოაცოცხლებს საკალათბურთო ცხოვრებას ჩვენს რესპუბლიკაში და მუშაობის გარკვეულ სტიმულს მისცემს როგორც თვით სპორტსმენებს, ისე მათს მწვრთნელებს — აღმზრდელებს.

ნ. გუგუშვილი.

# სტადიონი... გემბანზე

გურამ თევზსაკონსერვო ქარხანას „მარია პოლივანოვას“ გეზი ატლანტის ოკეანისკენ აქვს აღებული. დიდი ხანია უკან დარჩა მშობლიური ნაპირები.

— ვახტისგან თავისუფალ ფრენბურთელებს გემბანზე ვიწვევთ! — აცხადებენ გემზე.

რამდენიმე წუთში გემბანი სტადიონად იქცა. ბადეზე ბურთი მიფრინავს. ტარდება გემის სპარტაკიადის მორიგი შეჯიბრება, საუკეთესო გუნდს მეთაურობს პირველთანრიგოსანი, პირველი კლასის მეზღვაური კ. ბატოვი.

...2 ათასზე მეტი კაცი რეგულარულად ვარჯიშობს სპორტში სატრალო ფლოტის სევასტოპოლის სამმართველოს გემებზე, რომლებიც ატლანტის ოკეანეში არიან გასული. მათ შორის არიან სპორტის ოსტატები, მაგალითად, მოტორისტი ვ. დონჩენკო, პირველი კლასის მეზღვაური გ. საველიევა. სპორტის ოსტატები და თანრიგოსნები ძირითად ბირთვს შეადგენენ სპარტაკიადებისა, რომლებიც ოკეანეში რეგულარულად ტარდება. ვახტისგან თავისუფალი მეზღვაურები ერთმანეთს ეჯიბრებიან ძალოსნობაში, სროლაში, სიგრძეზე ხტომაში, მაგიდის ჩოგბურთში და, რასაკვირველია, საყვარელ სახეობაში — ბაგირის გადაძალვაში.

ტრაულერ „ფეოდოსიაზე“ ჩინებული მსროლელები არიან, რომელთაც ელექტრიკოსი დ. ჩერეპანოვი მეთაურობს. სასწავლო-საწარმოო ხომალდ „კურსზე“ განსაკუთრებით ჭადრაკი უყვართ. ტურნირებში ხშირად იმარჯვებს კაპიტნის პირველი თანაშემწე ი. გოლუბი.

სამმართველოში შეაჯამეს გემებზე სპორტული მუშაობის შედეგები. ტრაულერების „ლანგუსტის“, „ფეოდოსიისა“ და „ოსტროვსკის“ ფიზკულტურული კოლექტივები საუკეთესოდ აღიარეს.

მ. ტუროვსკი.
(საქდესის კორ.).
სევასტოპოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ტაში არა მარტო გოლისთვის...

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 6 ოქტომბერი.

„დინამო" (თბილისი) — „კარპატი" (ლვოვი) 5:1 (2:0).

„დინამო": გოგია, ძოძუაშვილი, ჰელიძე (პეტრიაშვილი), ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

„კარპატი": ვაიდა (შვოინიცკი), გერეგი, პოტოჩნიაკი, დანილჩუკი, სიროვი, ბროვარსკი, ხიჟაკი (გრეშჩაკი), კიკოტი, კოზინკევიჩი, კულჩიცკი, ლიხაჩოვი.

მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:2 „კარპატის" სასარგებლოდ.

უკვე აღარც გვახსოვს, როდის იყო უკანასკნელად სტადიონის ტრიბუნები გაჭედილი ისე, რომ, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. უკლო, ძალიან უკლო ფეხბურთის მოყვარულმა სტადიონზე სიარული. და არამარტო თბილისში — ასეა მოსკოვშიც, კიევშიც, ლენინგრადშიც... ტელევიზორთან ჯდომას ამჯობინებენ!

რატომ? შეიძლება, ერთეულებს ოჯახური კომფორტი ურჩევნია ტროლეიბუსში ჯაყჯაყსა და ტრიბუნებზე ნერვების მოშლას, მაგრამ უმეტესობა კი არც მალავს ამ „საშინაო ფეხბურთის" მიზეზებს — ველარ თამაშობენო ფეხბურთელები ისე, რომ ღირდეს საამისოდ შორს სიარული. თვით მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზეც კი თითებზე დაითვლი ზოგჯერ მაყურებელს.

საპასუხო საყვედურს ფეხბურთელებიც გამოთქვამენ. მართლაც, არაფერი სასიამოვნოა ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში. ერთი სიტყვით, ფეხბურთის მოყვარულთა საერთაშორისო მოარული გამოთქმა — „ზედმეტი ბილეთი ხომ არ გაქვთ" — გაქრა.

ამ რთული დავის გადაწყვეტა სამერმისოდ გადავდოთ, 6 ოქტომბერს კი თბილისის დინამოელებმა ისე ითამაშეს, რომ, ვინც იმ დღეს არ მოვიდა მატჩის საყურებლად, შეგვიძლია თამამად ვუთხრათ: ძალიან შეცდით, მეგობრებო, ეს რა თამაში გააცდინეთ!..

რამდენი ხანია არ მოგვისმენია ტაში ტრიბუნებიდან გოლისთვის კი არა, ლამაზი თამაშისთვის. ბურთი რომ კარში გადის, ტაშს მაშინ ყველა უკრავს, მაგრამ ამდენი ემოცია ტრიბუნებიდან არა გოლისთვის, არამედ შეთანხმებული, ლამაზი თამაშისთვის, სწრაფი კომბინაციებისთვის, ზუსტი დარტყმებისთვის კარგა ხანია არ მოგვსწრებია. დინამოელებმა პირველი გოლი „მხოლოდ" მე-15 წუთზე გაიტანეს, მანამდე კი რამდენიმეჯერ დაიმსახურეს ხანგრძლივი აპლოდისმენტები თამაშის მაღალი კლასისთვის.

რაშია საქმე? რა მოხდა ასეთი სადღესასწაულო და საგანგებო „დინამოში"? გუნდის შემადგენლობა არ შეცვლილა, ახალი ვარსკვლავები არავის გამოუყვანია, არც ახალი „სუპერტაქტიკური" კომბინაციები გათამაშებულა. უბრალოდ, თითოეულმა ჩვენმა ფეხბურთელმა ითამაშა ისე, როგორც შეეძლო. არ დაზოგა ძალა, ენერგია, მაქსიმალურად ჩააქსოვა თავისი უნარი და პოტენციალი ბრძოლაში, მაღალი ინდივიდუალური საშემსრულებლო თვისებები მთლიანად დაუმორჩილა კოლექტიური ურთიერთმოქმედების კანონებს და გვაჩვენა თავისი ნამდვილი სახე.

ჩვენ ხშირად ვუსაყვედურებთ დინამოელებს, რომ მათ აკლიათ მოძრაობა, საერთო დინამიკა, რომ მატჩის ცალკეულ ეპიზოდებში მონაწილეობენ ერთეული ფეხბურთელები ან, უკეთეს შემთხვევაში, ცალკეული რგოლები, სხვები კი უქმად არიან მომლოდინეთა როლში და უმეტესად „თავიანთ რიგს" ელიან, არ იხსნებიან, საშუალებას აძლევენ მეტოქეს მშვიდად დაიცვას სახიფათო ადგილები, გადააჯგუფოს ძალები.

მოძრაობა — აი, ეს აკლიათ ხშირად ჩვენებს, მაგრამ საკმარისი იყო „დნეპრთან" და „კარპატისთან" ამოძრავებულიყო მთელი გუნდი, ერთიანად და სრული ძალით ჩაბმულიყო ყველა მოთამაშე ბრძოლაში და მაშინვე გამოჩნდა მათი მდიდარი შესაძლებლობანი. ორივე თამაში დიდი ანგარიშით მოვიგეთ და „დნეპრიც" და „კარპატიც" ფაქტიურად კიდევ იოლად გადაურჩნენ თბილისელთა მძლავრ შეტევებს. ამ მატჩებში ძნელია გამოჰყო ცალკე მოთამაშეები, ვინაიდან ყველანი ერთდროულად სოლისტებიც იყვნენ და აწყობილი ანსამბლიც, სადაც ყველაფერი ერთ მთლიან გეგმასაა დამორჩილებული, ყველაფერი კეთდება კოლექტიურად, ერთად, შეხმატკბილებულად.

ყოველივე ამას ვამბობთ არამარტო იმიტომ, რომ დავახასიათოთ განვლილი მატჩები და კმაყოფილება გამოვთქვათ. უფრო მეტად იმით ვართ დაინტერესებული, რომ გუნდმა ასევე ითამაშოს მომავალ, ძალიან რთულ შეხვედრებშიც, მიაღწიოს საწადელს და საბოლოოდ დაიკავოს ადგილი, რომელიც ეკუთვნის.

განვლილ მატჩში მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან ხელთ იგდეს თამაშის სადავეები, სწრაფი, შეუნელებელი იერიშებით, ადგილების ხშირი შენაცვლებით, შეტევის მთავარი მიმართულების მოულოდნელი ცვლით სრული დეზორგანიზაცია შეიტანეს ლვოველთა რიგებში. ტემპს, რომელიც „დინამომ" აიღო, მეტოქე ვერ აჰყვა და თავიდანვე განწირული აღმოჩნდა.

ანგარიში გახსნა გავაშელმა ოსტატური, ეფექტური გოლით. იგი ზედ პირის ხაზზე მისწვდა თითქმის დაკარგულ ბურთს, მოჭრილად დაარტყა და, მეკარე ვაიდამ ხელების აწევაც ვერ მოასწრო, ისე გავიდა გოლი.

ორიოდე წუთიც არ იყო გასული, ხურცილავამ იხელთა დრო და შორიდან გაგზავნა ბურთი კარის კუთხეში.

ეს ანგარიში ტაიმის ბოლომდე შერჩა ტაბლოს, თუმცა საგოლე მომენტი კიდევ არაერთხელ შეიქმნა „კარპატის" კართან.

როგორც კი თამაში განახლდა, ყიფიანმა ძნელი მდგომარეობიდან დაარტყა კარში, ბურთი ერთ-ერთ მცველს მოხვდა, უკან დაბრუნდა და ნოდიამ ახლა უკვე შვოინიცკის შეასრულებინა უსიამოვნო პროცედურა — ბურთის ბადიდან გამოტანა.

ამის შემდეგ სტუმრებმა ცოტა ხნით შექმნეს კონტრთამაში, რაც 64-ე წუთზე ბროვარსკის საპასუხო გოლით დამთავრდა. მაგრამ შემდგომში თამაში კვლავ დინამოელთა „სცენარით" წარიმართა. გუცაევმა ნოდიასგან მიღებული ბურთით სწრაფად შეასრულა ინდივიდუალური გარღვევა და მეოთხე გოლი გაიტანა, ხოლო შემდეგ, 75-ე წუთზე, გავაშელმა შეუცდომლად გამოიყენა ყიფიანის გადაცემა — 5:1.

გ. ქორქია.

* * *

სურათებზე: პირველი და უკანასკნელი — ასე უწოდა ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გ. დოლენჯაშვილმა თავის სურათებს. მარცხნივ — „კარპატის" მეკარე გ. ვაიდა პირველი გაშვებული ბურთის მერე; მარჯვნივ — ა. შვოინიცკი იზიარებს თავისი წინამორბედის ბედს მეხუთე გოლის შემდეგ.

## გასწრები, გოლები

გუშინწინ შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

„სპარტაკი" — „დინამო" (მოსკოვი) 1:0.

ძველი მეტოქეების შეხვედრის ბედი გადაწყდა 75-ე წუთზე, როცა პისკარიოვმა კარგად გამოიყენა ბულგაკოვის მშვენიერი გადაცემა.

„ზენიტი" — „დინამო" (მინსკი) 0:2.

მინსკელმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ითამაშეს და გაიმარჯვეს სახაროვის მიერ ზედიზედ (87-ე და 88-ე წუთზე) გატანილი ორი ბურთის მეოხებით.

„არარატი" — „დნეპრი" 2:3.

თბილისში წაგების შემდეგ „დნეპრმა" მთელი ძალით ითამაშა ერევანში, სადაც მძიმე ბრძოლის შემდეგ შეძლო მასპინძელთა დამარცხება. ნაზაროვის (მე-16 წუთი), პილიპჩუკისა (43) და შნეიდერმანის (80) სამ გოლს „არარატმა" მხოლოდ ორით უპასუხა: მე-8 წუთზე ანდრიასიანმა ანგარიში გახსნა, ხოლო მარქაროვმა 43-ე წუთზე მეორედ აიღო დნეპროპეტროვსკელთა კარი.

„ნეფთჩი" — ასკ 2:1.

ბაქოს გუნდი შავ დღეშია და მაერივით ესაჭიროება ქულები. „ნეფთჩიმ" შეძლო გამარჯვება, ამასთან, ორივე გოლი როსტოველთა კარში ბანიშევსკიმ (44-ე და 74-ე წუთებზე) გაიტანა. როსტოველთა მხრივ გოლი 41-ე წუთზე გაიტანა ბონდარენკომ.

„ზარია" — „ქაირათი" 2:1.

ჩემპიონატის ლიდერმა შეძლო 2 ქულის აღება. ალმაათელთა კარში ორივე ბურთი მოათავსა კუკსოვმა (51-ე და 72-ე წუთზე), ხოლო მასპინძელთაგან გოლი გაიტანა პიუნოვსკიმ (79).

გუშინ:

„ლოკომოტივი" — „დინამო" (კიევი) 1:0.

მწვავე ბრძოლა მოსკოველთა გამარჯვებით დამთავრდა: „ლოკომოტივის" ცენტრფორვარდმა პისკუნოვმა ერთადერთი გადამწყვეტი ბურთი 84-ე წუთზე გაიტანა.

მოსკოველთა კარში ორი პენალტი დაინიშნა, მაგრამ ჯერ მუნტიანმა, შესვენების შემდეგ კი ვერემეევმა ვერ აიღეს მილესის კარი — მეკარემ ორივე ბურთი მოიგერია.

## უმაღლესი ლიგა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 24 | 14 | 6 | 4 | 43—21 | 34 |
| ცსკა | 26 | 14 | 3 | 9 | 33—28 | 31 |
| „დინ." (თბ.) | 24 | 10 | 9 | 5 | 33—24 | 29 |
| „დინ." (მნ.) | 25 | 9 | 10 | 6 | 26—21 | 28 |
| „დნეპრი" | 25 | 9 | 10 | 6 | 32—32 | 28 |
| „არარატი" | 24 | 10 | 7 | 7 | 34—25 | 27 |
| „დინ." (მ.) | 24 | 11 | 3 | 10 | 33—28 | 25 |
| „ზენიტი" | 26 | 7 | 11 | 8 | 27—28 | 25 |
| „ტორპედო" | 24 | 9 | 7 | 8 | 26—29 | 25 |
| „დინ." (კ.) | 23 | 8 | 8 | 7 | 34—28 | 24 |
| ასკ | 25 | 7 | 9 | 9 | 28—30 | 23 |
| „ქაირათი" | 25 | 5 | 12 | 8 | 19—23 | 22 |
| „სპარტაკი" | 23 | 8 | 5 | 10 | 26—24 | 21 |
| „კარპატი" | 25 | 7 | 6 | 12 | 20—35 | 20 |
| „ლოკომოტ." | 26 | 4 | 8 | 14 | 24—40 | 16 |
| „ნეფთჩი" | 25 | 5 | 6 | 14 | 23—45 | 16 |

# ახალი ოლიმპიური დისციპლინის ევროპული გამოცდა

დღეს ბულგარეთის ქალაქებში ბურგასსა და ვარნაში სტარტს აიღებს ევროპის კალათბურთელ ქალთა XIII ჩემპიონატი. ტურნირის მონაწილენი დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფის თამაშები ჩატარდება ბურგასში. აქ იასპარეზებენ სსრ კავშირის, პოლონეთის, რუმინეთის, იტალიის, უნგრეთისა და იუგოსლავიის გუნდები. ვარნის ჯგუფში გაერთიანებული არიან ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, ბულგარეთის, გდრ-ის, ჰოლანდიისა და ავსტრიის ნაკრები კოლექტივები. წინასწარი მატჩები ჯგუფებში 12 ოქტომბერს დამთავრდება, ერთი დღის შემდეგ კი დაიწყება ფინალური შეხვედრები. ევროპის მეცამეტე ჩემპიონის ვინაობა ცნობილი გახდება 16 ოქტომბერს.

ქალთა კალათბურთისადმი ინტერესი ბოლო ხანს საგრძნობლად გაიზარდა მთელს მსოფლიოში. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი ბოლო გადაწყვეტილებით, იგი ოლიმპიურ დისციპლინად გადაიქცა: ოთხი წლის შემდეგ მონრეალი დაასახელებს პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს ქალთა კალათბურთში. მანამდე კი ბევრი საინტერესო ტურნირი ჩატარდება, მათ შორის, ევროპისა და მსოფლიო პირველობები.

წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილეებს საკალათბურთო სამყარო კარგად იცნობს. ისინი წლების მანძილზე მსოფლიოს საკალათბურთო ცხოვრების ავანგარდში იყვნენ და დღესაც ამ ადგილს ინარჩუნებენ.

ყველაზე სახელოვანი ფავორიტია სსრ კავშირის ნაკრები. მან 11 ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ ერთხელ, 1958 წელს დათმო უძლიერესის წოდება.

აი, როგორი საფიზიტო ბარათები აქვთ წლევანდელი ჩემპიონატის დანარჩენ მონაწილეებს (ჯგუფების მიხედვით):

პოლონეთი — ტურნირებში 11-ჯერ მონაწილეობდა. საუკეთესო შედეგს — III საპრიზო ადგილს 1938 და 1968 წლებში მიაღწია;

რუმინეთი 9 ჩემპიონატის მონაწილეა. საუკეთესო შედეგს — IV ადგილს 1962, 1964 და 1966 წლებში მიაღწია;

იტალია 11 ჩემპიონატის მონაწილეა. 1938 წელს I ადგილი მოიპოვა;

უნგრეთი 11 ჩემპიონატში მონაწილეობდა. ორჯერ (1950 და 1956 წლებში) იყო ვერცხლის პრიზიორი;

იუგოსლავია 9 ჩემპიონატის მონაწილეა. 1963 წელს მეორე პრიზიორი იყო.

ვარნის ჯგუფის გუნდებს შორის ყველაზე სახელოვანი ჩეხოსლოვაკიის ნაკრებია. 11 ჩემპიონატში იგი 9-ჯერ იყო პრიზიორი. საფრანგეთის ნაკრები 11 ჩემპიონატის მონაწილეა. საუკეთესო შედეგს — II საპრიზო ადგილს მიაღწია ევროპის ბოლო პირველობაში. ბულგარეთის ნაკრები 10 ჩემპიონატის მონაწილეა. 1958 წელს იგი ევროპის ჩემპიონი იყო. გდრ 3 ჩემპიონატის მონაწილეა. 1966 წელს მესამე პრიზიორი იყო. ჰოლანდია მეორედ მონაწილეობს კონტინენტის ჩემპიონატში. ათეულში არ მოხვედრილა. ავსტრია 6 ჩემპიონატის მონაწილეა. საუკეთესო შედეგები ჰქონდა 1954 და 1956 წლებში — VIII ადგილი.

როგორც ხედავთ, სტაჟისა და დამსახურების მიხედვით XIII ტურნირის მთავარ ფავორიტად სსრ კავშირის ნაკრები უნდა მივიჩნიოთ. ვინ დაიცავს მის ღირსებას ამ ჩემპიონატში?

გუნდის კაპიტანი ნ. ზახაროვა (დაბადებული 1945 წელს, სიმაღლე 169 სმ), უ. სემიონოვა (1952, 210), ნ. ბილმაიერი-ფერიაზნიკოვა (1949, 192), ნაკრების დებიუტანტი ო. სუხარნოვა (1955, 192), ზ. ჩერნიკოვა-კობზევა (1946, 185), რ. კურვიაკოვა (1945, 184), ნ. ნაზემბლო (1951, 187), ლ. კრესტიანიკოვა (1951, 184), ლ. გუხევა (1945, 171), ტ. კაბაევა-ოვეჩკინა (1950, 173), ა. იანკუნაიტე (1952, 168), ლ. კუზმინა (1948, 169). გუნდს წვრთნიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ლ. ალექსეევა და ვ. კოლპაკოვი.

სსრ კავშირის ნაკრების შეხვედრათა გრაფიკი წინასწარ მატჩებში ასეთია: 8 ოქტომბერი — პოლონეთთან, 9 ოქტომბერი — რუმინეთთან, 10 ოქტომბერი — იტალიასთან, 11 ოქტომბერი — უნგრეთთან, 12 ოქტომბერი — იუგოსლავიასთან.

რამდენიმე სიტყვა ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა კალათბურთელების ბოლო წარმატებაზე: წინასწარი შეხვედრები მათ მოუგეს საფრანგეთის, პოლონეთის, ჰოლანდიის, უნგრეთისა და იტალიის გუნდებს. ნახევარფინალში დაამარცხეს იუგოსლაველები (116:49), ფინალში კი საფრანგეთის ნაკრები — 94:33.

ნ. ახვლედიანი.

## ქრთამის აღებისთვის დაისაჯნენ

ბონი. დასავლეთ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარულმა კომიტეტმა დამატებითი სასჯელი გამოუტანა ეროვნული ნაკრებისა და გელზენკირჰენის „შალკე-04"-ის ორ მოთამაშეს ლიბუდასა და ფიშერს: მათ სამუდამო დისკვალიფიკაცია მიეცათ.

მანამდე ის ორი ფეხბურთელი 2000 მარკით დაჯარიმდა იმის გამო, რომ ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში მეტოქისგან — კლუბ „არმინიასგან" ქრთამი აიღეს და მთელი ძალით არ ითამაშეს.

## ეტიუდი

დ. გურგენიძე

(თბილისი)



ყაიმი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04655